საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/796

ქ. თელავი „04“„12“ 2015წ.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,, უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე ,34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე და 26-ე მუხლის, აგრეთვე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესახებ დებულების მუხლი 4.2 „ბ“ ქვეპუნქტის, ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 04 დეკემბრის N3 საოქმო დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მიმდინარე წლის 04 დეკემბერს შემდეგ ფაკულტეტებზე:

1.1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 3 (სამი) წლის ვადით

ა. სტომატოლოგიის მიმართულება

- ❖ ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე

1.2. **სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე 4 (ოთხი) წლის ვადით**

ა. საერთაშორისო სამართლის მიმართულებით

- ❖ პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე

ბ. კერძო სამართლის მიმართულებით

- ❖ ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე

გ. სისხლის სამართლის მიმართულებით

- ❖ ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე

დ. კონსტიტუციული სამართლის მიმართულებით

- ❖ ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე

ე. ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით

- ❖ ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე

<u>შენიშვნა:</u> **სოციალურ მეცნიერებათა ,ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის პირები სახელფასო ანაზღაურებას მიიღებენ იმ დროიდან, როდესაც სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ექნებათ შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.**

2. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების“ მიხედვით;
3. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2016 წლის 4 იანვრიდან და დასრულდეს 2016 წლის 20 იანვარს 17 -00 სთ-ზე;
4. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე № 39-ე ოთახში, შაბათ-კვირის გარდა;
5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2016 წლის 4 თებერვალი;
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კანცელარიის ადამიანური რესურსების მენეჯერს (ქ. ხმალაძე);

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
8. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინატერესებული პირის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დ. აღმაშენებლის N 41).

უნივერსიტეტის რექტორი ირმა შიოშვილი